# საქართველო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 12 თებერვალი 2013 წელი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №35

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 15 აგვისტოს №111 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

## *ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ*

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურში გამწვევი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 15 აგვისტოს №111 ბრძანებაში და ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) აკაკი მაისურაძე – საქართველო შ.ს.ს. გურიის მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;“

**მუხლი 2.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის, მობილიზაციისა და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურს.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:** **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer